უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №11

ქ. თბილისი 27.12.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
ალექსანდრე ცისკარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
თენგიზ ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
ნანა შარიქაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
თამარ იოსელიანი - სსიპ - საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
ნოდარ შურღაია - შპს დასაქმების სააგენტო ეიჩარის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
მარიამ ღამბაშიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ნინო მეგრელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

მარინე იოსელიანი - რექტორი;
ანდრო აბაშიძე - ხარისხის მართვის სპეციალისტი;
თამარ ჟღენტი - პროექტის კოორდინატორი;
ნანა ქიშელაშვილი - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ანა გორგოძე - შეფასების სამსახურის უფროსი;
ნატალია ბარათელი - დაწესებულების განათლების ექსპერტი.

შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ხათუნა გაბიცინაშვილი - პრორექტორი;
სალომე ჭელიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ლალი ხვედელიძე - კანცლერი;
ნათია მიქელთაძე - რექტორის მოადგილე.

შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ლევან ჯანგულაშვილი - რექტორი;
დავით გუბელაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ია ჭიღიტაშვილი - კრიმინალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

თეონა ხუფენია - რექტორი;
ქეთევან ლომაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ტიტე ბოლქვაძე;
ნია გუგუნავა;
მიხეილ სამხარაძე;
მაკო ჯაოშვილი;
ნინო ამირანაშვილი;
ნინო ტალიაშვილი;
ეკა ლუაშვილი;
ნინო ფეტვიაშვილი;
ვანო ოთხოზორია.

სხვა დამსწრე პირები:

მამია ჯანჯალია - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის დირექტორი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით;
თამარ ტაბიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ლექტორი, პროფესიული განათლების ექსპერტი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:20 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია, ასევე, მონაწილეობდეს საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული 2 პირი. თავმჯდომარის გადაწყვეტილებით 2017 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას

მიიღებდნენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები, მამია ჯანჯალია და თამარ ტაბიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგამის დამატების საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ევროპულ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგამების დამატების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ტიტე ბოლქვაძემ.

მოწვეული საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია, დაინტერესდა, პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, როგორ მოახერხებდა დაწესებულება სტუდენტთა მობილობას, მაშინ, როდესაც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არ ხორციელდებოდა მსგავსი პროფესიული საგანმანათოლებლო პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე დაწესებულებამ კონსულტაცია გაიარა ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და მათთან შეთანხმებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განისაზღვრა, რომ ასეთ შემთხვევაში დაწესებულება იღებდა ვალდებულებას, მიეცა საშუალება მოქმედ პროფესიულ სტუდენტებს დაესრულებინათ აღნიშნული პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ განხორციელდება/ხორცილდებოდა დაწესებულების ერთ-ერთ მისამართზე (ი.გურჯის ქ. №7ბ) საგანმანათლებლო პროგრამები, მაშინ, როდესაც აღნიშნულ მისამართზე არ იყო უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო და სხვა სახის სერვისების ხელმისაწვდომობა სსსმ და შშმ პირებისთვის, არ არსებობდა პანდუსი, ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები გაითვალისწინა დაწესებულებამ და მათი გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა ცენტრში. ამასთანავე, შენობის სტრუქტურა და განლაგება არ იძლეოდა შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნის საშუალებას სსსმ და შშმ პირებისთის. ამ მიზეზით, მათ გამოყოფილი ჰყავდათ ოთხი თანამშრომელი (ორი მდედრობითი და ორი მამრობითი), რომლებიც უზრუნველყოფდნენ დაწესებულების მიერ გაწეული საგანმანათლებლო და სხვა სახის სერვისების ხელმისაწვდომობას სსსმ და შშმ პირებისთვის.

საბჭოს წევრი, ნუგზარ სხირტლაძე, დაინტერესდა, თუ როგორი თანაფარდობა იყო სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლების.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანდრო აბაშიძემ, განმარტა, რომ 40 სტუდენტზე გათვალისიწინებული იყო 12 პროფესიული მასწავლებელი.

საბჭოს წევრი, ნანა შარიქაძე, დაინტერესდა, თუ რა გეგმა ჰქონდა დაწესებულებას ბიბლიოთეკის ფონდის ელექტრონული კატალოგის მიხედვით დანომრვასთან მიმართებით და ექსპერტთა ჯგუფი თუ გაეცნო აღნიშნულ გეგმას.

დაწესებულების წარმომადგენლის, ანდრო აბაშიძის, განმარტებით, დაწესებულებამ 2018 წლის საავტორიზაციო პერიოდისთვის შეიმუშავა ბიბლიოთეკის განვითარების გეგმა. აღნიშნული გეგმა შემუშავდა ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს ნომერი მინიჭებული არ იყოს მხოლოდ 3 წიგნზე. ექსპერტთა ჯგუფის განცხადებით, მათ შეამოწმეს ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი სხვა წიგნებიც, რომელიც, ასევე, არ იყო დანომრილი. დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა გორგოძემ, განმარტა, რომ არსებული საბიბლიოთეკო რესურსი სრულიად იყო წარმოდგენილი და ხელმისაწვდომი იყო სტუდენტთათვის ელექტრონული სახით.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა, თუ რატომ იყო წარმოდგენილი „ენერგო-პროს"-ს ქვითრები დაწესებულებაში ელ. ენერგიის უწყვეტად მიწოდების დასადასტურებლად.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მოხდა შეცდომა და მათ ექპერტებს წარუდგინეს დაწესებულების ქუთაისის ფილიალის ქვითრები.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ქვითრებით არ დასტურდებოდა ელექტრო ენერგიის უწყვეტი მიწოდება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი სწავლობდა ამჟამად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

დაწესებულების წარმომადგენლის, ანდრო აბაშიძის, განმარტებით, ამ ეტაპზე პროფესიულ პროგრამაზე არცერთი სტუდენტი არ ირიცხებოდა.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 18:00 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 18:37 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმში უნდა დაფიქსირდეს, რომ თუკი პროგრამა შეწყდება დაწესებულების მიზეზით, მხოლოდ ამ შემთხვევაში იღებდა იგი ვალდებულებას, მიეცა საშუალება მოქმედი პროფესიული სტუდენტებისთვის დაასრულონ აღნიშნული პროგრამა და მხოლოდ ამის შემდეგ გააუქმოს იგი.

საბჭოს წევრი, ნანა შარიქაძე, დაინტერესდა, ექსპერტების მიერ საბიბლიოთეკო რესურსის შემოწმებისას, რამდენი წიგნი არ იყო დანომრილი. ექსპერტთა განმარტებით, მათ მიერ შემოწმებული წიგნების უმეტესობა არ იყო დანომრილი.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულების მიერ გადასახედი და შესაცვლელი იყო სსსმ პირების უნივერსიტეტის შენობაში თავისუფლად გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით გამოცემული ბრძანება. ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით, დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საგანმანათლებლო და სხვა სახის სერვისების თავისუფალი და შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა სსსმ და შშმ პირებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხების გამოსწორება უნდა მომხდარიყო მანამ სანამ დაწესებულება შემოიტანდა საავტორიზაციო განაცხადს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა, ნუგზარ სხირტლაძემ.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204429341) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	სწავლების ენა	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
1	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები (041364)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში	ქართული	120	150	40	ქ. თბილისი, მ. ბროსეს ქ. №2 ქ. თბილისი, იეთიმ გურჯის ქ. №7ბ

18:56 საათზე საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა, კონსტანტინე სირბილაძემ და თამარ იოსელიანმა.

2. შპს ქართულ-ევროპულ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით საბჭოს მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის ძირითადი მიგნებები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიხეილ სამხარაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების რექტორის მოადგილის, ხათუნა გაბიცინაშვილის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების ნაწილი გათვალისიწნებულ იქნა, სხდომაზე წარმოდგენილ იქნა გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ხოლო რეკომენდაციების ნაწილზე მიმდინარეობდა მუშაობა. მისი განცხადებით, გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია სასწავლო გეგმასა და საგნის სილაბუსებში ყოველკვირეული დატვირთვის განსაზღვრის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში, ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს შესაძლებლობა, დასწრებოდნენ პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, მიხეილ სამხარაძის, განცხადებით, მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში არცერთ პრაქტიკის ობიექტზე არ ხორციელდებოდა პრაქტიკა. ექსპერტებმა დაათვალიერეს ერთ-ერთი პრაქტიკის ობიექტი (შპს „404“ მისტერ მასტერი) და გაესაუბრნენ საწარმოო პრაქტიკის მენტორს, ვინც უშუალოდ კურირებდა საწარმოო პრაქტიკას. გასაუბრების და დათვალიერების შედეგად დადგინდა კომპანიის მზაობა პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის განხორციელების მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ბედი ეწევათ სტუდენტებს, რომლებიც საგნობრივ პროფესიულ პროგრამებზე ვერ ახერხებენ 2019 წლამდე სწავლის დასრულებას, რადგან 2019 წელს უქმდებოდა მათი სასწავლო პროგრამა. ამასთანავე, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ გამოაცხადა დაწესებულებამ მიღება იმ პროგრამებზე, რომელთა დასრულებასაც სტუდენტები ვერ მოახერხებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ ჰქონდათ, ხოლო გაცნობის შემდეგ, სწავლის დაწყებამდე აღნიშნული ინფორმაცია მიწოდებულ იქნა სტუდენტებისთვის და სახეზე იყო მათ მიერ ხელმოწერილი თანხმობის წერილები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, გაეცნენ თუ არა ექსპერტები დაწესებულების სამოქმედო გეგმას.

მიხეილ სამხარიძის, განმარტებით, ვიზიტის დროს ისინი გაეცნენ მხოლოდ 2016-2017 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას.

დაწესებულების რექტორის მოადგილემ, ხათუნა გაბიცინაშვილმა, 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმა წარმოადგინა საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი სტუდენტი სწავლობდა ამჟამად დაწესებულებაში. დაწესებულების რექტორის მოადგილის, ხათუნა გაბიცინაშვილის, განცხადებით, ამჟამად დაწესებულებაში პროფესიულ პროგრამებზე სწავლობდა 82 სტუდენტი, ხოლო საბაკალავრო პროგრამებზე- 300-მდე სტუდენტი.

საბჭოს მოწვეული წევრი, მამია ჯანჯალია, დაინტერესდა, დაწესებულებაში გამიჯნული იყო თუ არა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი პროფესიული და უმაღლესი აკადემიური საგანამანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, ასევე აუდიტორიები ამ ეტაპზე სრულიად გამიჯნული იყო.

საბჭოს წევრი, ნანა შარიქაძე, დაინტერესდა, უცხოელი სტუდენტების მიღებისას ინგლისური ენის ცოდნის შემოწმების რა მექანიზმები ჰქონდა დაწესებულებას შემუშავებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უცხოელ სტუდენტებს მოეთხოვებათ ინგლისიური ენის ცოდნის მინიმალური დონე B1. მათ უნდა წარმოადგინონ სერთიფიკატი, ან ჩააბარონ გამოცდა დაწესებულების ენის ცენტრში.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლით და ვინ იყვნენ მთავარი დამსაქმებლები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი არის 85%-ზე მეტი, ხოლო ძირითადი დამსაქმებლები არიან სადაზღვეო კომპანიები- „ჯი-პი-აი ჰოლდინგი", ბანკები- „თიბისი ბანკი" და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ არ მუშაობდა დაწესებულების ვებ-გვერდი.

დაწესებულების წარმომადგენლის, განცხადებით, ამჟამად მიმდინარეობდა ვებ-გვერდის რეკონსტრუქცია, შესაბამისად, პერიოდულად გადასული იყო გათიშულ რეჟიმზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, მიხეილ სამხარაძის, განცხადებით, ვიზიტის პერიოდში, ვებ-გვერდი შეუფერხებლად მუშაობდა.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 19:52 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 19:57 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტის და საბჭოს სხდომის დროს დაფიქსირებული ხარვეზების გათვალისწინებით, საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რომ 2018 წელს დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელებასთან დაკავშირებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის (საიდენტიფიკაციო კოდი: 404391537) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ნოდარ შურღაიამ და სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია 20:05 საათზე.

3. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით საბჭოს მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ძირითადი მიგნებები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ტალიაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, გამიჯნული იყო თუ არა დაწესებულებაში პროფესიული და აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საკითხი.

ექსპერტის განმარტებით, მონიტორინგის ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია დაწესებულების სტრუქტურაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთეულებისა და მარეგულირებელი აქტების ცალკე გამოყოფის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი სტუდენტი სწავლობდა ამჟამად დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ამჟამად დაწესებულებაში პროფესიულ პროგრამებზე სწავლობდა 200 სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და ვინ არიან მთავარი დამსაქმებლები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 2016 წლის მონაცემებით შეადგენდა 78%-ს, ხოლო ძირითადი დამსაქმებლები იყვნენ გემთმფლობელები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, სასწავლო პროცესში რა როლი ეკავა ინგლისური ენის სწავლებას. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ინგლისური ენის ცოდნა, სტუდენტთა დასაქმების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი იყო, სწორედ ამიტომ, დაწესებულებას გაძლიერებული ჰქონდა ინგლისური ენის სწავლება და რიგ შემთხვევებში, სტუდენტებს აძლევდა ინტენსიური კურსის გავლის შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში, ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს შესაძლებლობა, დასწრებოდნენ პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკას.

ცენტრის წარმომადგენლის, ნინო სტეფანიშვილის განცხადებით, მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი დაესწრო პრაქტიკას ერთ-ერთ ობიექტზე და გაესაუბრა სტუდენტებს. სტუდენტებმა დააფიქსირეს კმაყოფილება აღნიშნულ დაწესებულებაში სწავლებისა და პრაქტიკის შესაძლებლობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 245433623) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით საბჭოს მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ძირითადი მიგნებები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ლუაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების ნაწილი გათვალისიწნებულ იქნა, სხდომაზე წარმოდგენილ იქნა გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი სწავლობდა ამჟამად დაწესებულებაში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ამ ეტაპზე დაწესებულებაში ხორციელდებოდა 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: კრიმინალისტიკა მე-3 საფეხური, კრიმინალისტიკა მე-4 საფეხური და კრიმინილისტიკა მე-5 საფეხური. სამივე პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა შედაგენდა - 66-ს, სტატუსშეჩერებულის-11-ს და სტატუსშეწვეტილის 2-ს.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა, თუ ვინ იყვნენ კურსდამთავრებულთა დამსაქმებლები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, კურდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმებული იყო საჯარო სექტორში, კერძოდ 6 სამინისტროში ფუნქციონირებდა საგამოძიებო სამსახური.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 211356414) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ჯგუფის ძირითადი მიგნებები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფეტვიაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების ნაწილი გათვალისიწინებულ იქნა, სხდომაზე წარმოდგენილ იქნა გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაციები. ხოლო რეკომენდაციების ნაწილზე მიმდინარეობდა მუშაობა, მათ შორის სტარტეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ერთიანი შეფასებისა და ანალიზის დოკუმენტზე.

საბჭოს თავმჯდომარე, დაინტერესდა პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პედაგოგთა კვალიფიკაციით.

ექსპერტთა განმარტებით, ვიზიტის პერიოდში ჩატარებული გამოკითხვებისა და პროგრამების განმახორციელებელ პედაგოგთა პირადი საქმის განხილვის შედეგად დაფიქსირდა, რომ დაწესებულების ერთ-ერთი ძლიერ მხარეს სწორედ პედაგოგთა კვალიფიკაცია წარმოადგენდა.

საბჭოს წევრი, ნუგზარ სხირტლაძე, დაინტერესდა, თუ როგორი იყო დაწესებულების მართვის სისტემა.

დაწესებულების წარომადგენლების განმარტებით, უნივერსიტეტის მთავარი მმართველობითი ორგანოები იყო აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე იყო უნივერსიტეტის რექტორი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით (მათ შორის: ქ. ზუგდიდში - 40; ქ. სენაკში - 40) განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი -0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ინფორმაციის ტექნოლოგიის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით (მათ შორის: ქ. ზუგდიდში - 20; ქ. სენაკში - 20) განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი -0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 28-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 220407888) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	სწავლების ენა	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ბუღალტრული აღრიცხვა (020156)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში	ქართული	99	129	40	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14
							40	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192
2	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი (040161)	მეხუთე	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართული	121	151	28	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14
3	ინფორმაციის ტექნოლოგია (040171)	მესამე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	ქართული	60	75	20	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14
							20	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 21:15 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი